

17.08.11

**საქართველოს ეროვნული ბანკი მონეტარული პოლიტიკის განაკვეთს 25 საბაზისო პუნქტით ამცირებს**

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტმა 2011 წლის 17 აგვისტოს მიიღო გადაწყვეტილება მონეტარული პოლიტიკის განაკვეთის 25 საბაზისო პუნქტით შემცირების შესახებ. მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი 7.5 პროცენტით განისაზღვრა.

2011 წლის ივლისში სამომხმარებლო ფასების ინდექსი წინა თვესთან შედარებით 1.5 პროცენტით შემცირდა. წლიური ინფლაცია 8.5 პროცენტს შეადგენს. ამ მაჩვენებელში კვლავ მაღალი – 6.7%–ია სურსათის გაძვირების წვლილი. კლებას განაგრძობს საბაზო ინფლაციის მაჩვენებლები: ივლისში სურსათისა და ენერგომატარებლების გამოკლებით საბაზო ინფლაცია 0.03%-ს გაუტოლდა. ასევე დაბალია და 1.2 პროცენტს შეადგენს მომსახურების სექტორის ინფლაცია.

ბოლო თვეების განმავლობაში ინფლაციის მაჩვენებელი მოსალოდნელზე უფრო სწრაფად მცირდება. არსებული პროგნოზები ინფლაციის კიდევ უფრო შემცირებაზე მიუთითებს. მოსალოდნელია, რომ ინფლაცია მიმდინარე წლის ბოლომდე ჩამოცდეს მიზნობრივ მაჩვენებელს და მომავალი წლის პირველ ნახევარშიც დაბალ დონეზე შენარჩუნდეს.

აღნიშნულიდან გამომდინარე ეროვნული ბანკი აგრძელებს წინა თვეში დაწყებულ მონეტარული პოლიტიკის შერბილებას, რათა ინფლაციის მაჩვენებელი საშუალოვადიან პერიოდში მიზნობრივ დონეზე შენარჩუნდეს.

ბოლო პერიოდში გამოიკვეთა აშშ-ს ეკონომიკური ზრდის შენელების რისკები, ასევე გაურკვეველობა ევროზონის ეკონომიკების ზრდებთან დაკავშირებით. ამერიკის და ევროზონის ეკონომიკური ზრდის კიდევ უფრო შენელება, ერთი მხრივ, გამოიწვევს საერთაშორისო სასაქონლო ბაზრებზე ფასების კლებას, მეორე მხრივ, შესაძლოა აისახოს საქართველოს ერთობლივი მოთხოვნის შემცირებაზე. აღნიშნული კიდევ უფრო გაზრდის ინფლაციის შემცირების რისკებს. ასეთი სცენარის განვითარების შემთხვევაში ეროვნული ბანკი დამატებით მოახდენს რეაგირებას.

საქართველოს ეროვნული ბანკი მომავალშიც დააკვირდება მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებსა და საფინანსო ბაზრებს და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებებს.

მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის შემდეგი სხდომა 2011 წლის 14 სექტემბერს გაიმართება.